
მომავალი - JUDO მოქნილი გზა - წარმატებისკენ

პროექტის ზოგადი მიმოხილვა

1. ძიუდოს ცოდნის ტექნიკურ-ტაქტიკური სრულყოფა
2. ძიუდო თეორიულ-ისტორიული კურსის ჭრილში
3. სპეციფიური ფიზიკური მომზადება
4. ფსიქოლოგია და სპორტული მედიცინა

პროგრამა, რომლის შექმნა და შემდგომ განხორციელებაც დავისახეთ მიზნად, საკმაოდ მასშტაბური და ამბიციურია, თუმცა ამავე დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და დროულია ქართული ძიუდოს განვითარებისთვის. საერთაშორისო ასპარეზზე დიდი წარმატების მიუხედავად, ჩვენ დღემდე ვერ ვიყენებთ ძიუდოს, როგორც არა მარტო სპორტის, ასევე ერთგვარი განათლების, როგორც ახალგაზრდების აღზრდის სისტემის შესაძლებლობას. ასევე აღსანიშნავია, რომ თუნდაც უკვე დღემდე არსებული ცოდნა არ არის თავმოყრილი, არ აქვს ერთიანი ქართული სახე და ცოდნის მატარებლებთან ერთად გაბნეულია სპორტულ საზოგადოებაში.

ამ პროექტის ამბიციურობა, მაგრამ ამავე დროს საჭიროებაც, მდგომარეობს იმაში, რომ პროექტის ფარგლებში მოხდეს დღემდე არსებული ცოდნის ერთგვარი თავმოყრა, მისი განხილვა და სახელის დარქმევა, სინთეზი ძიუდოს კლასიკურ გაგებასთან და საბოლოოდ ერთიანი ქართული ძიუდოს სტილის ფორმირება.

აღნიშნული პროექტის უზრუნველსაყოფად ჩვენს მიერ შერჩეული იქნება

17 კურატორი-მწვრთნელი, რომელთა შორის გადანაწილდება სხვადასხვა რეგიონულ ცენტრებში არსებული დარბაზები /ე.წ. საკურატორო სივრცე/.

სისტემატურად ზიხშირით: კვირაში ერთხელ/ მოხდება კურატორ-მწვრთნელთა შეკრება **სამუშაო-მრგვალი მაგიდის ფორმატში**, რომელსაც წაუძღვება პროექტის მენეჯერი და რომელსაც პერიოდულად დაესწრებიან, როგორც ფედერაციის სხვა

წევრები-მაგ. ნაკრების მწვრთნელები, ასევე სხვადასხვა დარგის მოწვეული სპეციალისტები.

შეხვედრიბისთვის მოწყობილი იქნება შესაბამისი სივრცე, როგორც ტატამზე მუშაობის, ასევე სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

შეკრების მთავარი მიზანი იქნება **2 საათიანი სავარჯიშო პროგრამის დანერგვა**, რომელსაც უკვე კურატორები გაკვეთილის სახით განახორციელებენ თავიანთ საკურატორო სივრცეებში.

თითოეული გაკვეთილის შექმნის პროცესი წარიმართება ისე, რომ მასში გათვალისწინებული იყოს ყველა ის ძირითადი ასპექტი, რაც ფუნდამენტურია ზოგადად სპორტისთვის და ამავე დროს სპეციფიურად ძიუდოსთვის;

კურატორი და ზოგადად ნებისმიერი მოწვეული სპეციალისტი იქნება მონაწილე შექმნის პროცესში, რაც გულისხმობს, რომ შეხვედრები წარიმართება დისკუსიის ფორმატში. შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ მონაწილის მხრიდან დაყენებული საკითხის თუ მიმართულების ასახვა შესაბამის გაკვეთილში, თუ ეს მოსაზრება იქნება გამყარებული შესაბამისი ცოდნით, გამოცდილებით და არგუმენტებით.

ეს მეთოდი მოგვცემს საშუალებას მოხდეს აქამდე არსებულ ცოდნის თავმოყრა და პრაქტიკული დანერგვა, ასევე მიეცეს მას გარკვეული სახელმძღვანელოს სახე უკვე შემდგომი პრაქტიკული გამოყენებისთვის.

1. ტექნიკა- ტაქტიკა - ეტაპობრივად მოხდება ძიუდოს ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალის შესწავლა იაპონური ტერმინოლოგიის და მისი შინაარსი გააზრების გათვალისწინებით, როგორც დგომში **ნაგევასუ (ტაჩივასუ)**, ასევე **ქვეჭიდში-კატამევასუ (ნევასუ)**. ასევე აუცილებელია პირველი ნაბიჯების გადადგმა კატა-ს, როგორც ფორმალური ვარჯიშების სისტემის შემოტანაში, რომლის მიზანია ამა თუ იმ ტექნიკის პრინციპის ახსნა და გაგება.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მენტალური ცვლილება, რომელიც ამ პროექტით უნდა მოხდეს, იქნება რანდორი-ს, როგორც თავისუფალი ვარჯიშის სწორი გაგება და მის ძირითად ვარჯიშად დამკვიდრების ტენდენცია. ამავე ნაწილში უნდა შევძლოთ და ერთგვარი სახე გამოვკვეთოთ ქართული ძიუდოს სტილის, რაც უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ის ცალკე აღებული უპირატესობები, რომელიც გვაქვს ისტორიულად, ეს იქნება ქართული ჭიდაობა, თუ ზოგადად ქართული, მეზრძოლი სულისკვეთება, ასევე ქართველის, როგორც ინდივიდუალური, თავგანწირული მისწრაფება პირველობისკენ და სხვა თვისებები, თუ ზოგადი ისტორიული გამოცდილება უკვე სახელდებულად, უპირატესობების, თუ ნაკლოვანებების

გათვალისწინებით სინთეზირებულ იქნეს ძიუდოს კლასიკურ ხედვასთან. მაგალითისთვის: ქართველი ძიუდოსტის უპირატესობა მეტოქესთან შედარებით აშკარაა, როდესაც ხდება ახლო მჭიდრო კონტაქტი, რაც გამომდინარეობს ქართული ჭიდაობის გავლენიდან და მისი ბუნებიდან, რაც ერთი მხრივ, პოზიტიურია და მომავალშიც გამოსაყენებელი, მაგრამ მეორე მხრივ, საკმაოდ უკან გვწევს ტაქტიკურ ნაწილში, რამეთუ ძიუდოს ახალი წესებიდან გამომდინარე პროცესი ძირითადად მიმდინარეობს დისტანციაზე, რასაც ხელი კიდევ უფრო მეტად შეუწყობს მთელი რიგი ჩავლებების თუ ილეთების გაუქმებამ (*ფეხში ჩავლების აკრძალვა, ჩავლების ორი ხელით ჩაშლა და სხვა*). შესაბამისად, აუცილებელი ხდება ჩვენი ძიუდოსტები თავიდანვე მივაჩვიოთ კლასიკური ძიუდოს ჩავლებას, როგორც მინიმუმ მოწინააღმდეგის შეტევის შეკავების დონეზე და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდეს გადასვლა ქართული სტილისთვის დამახასიათებელ ჩავლებაზე, რაც დაზოგავს ენერჯიას და ამ უპირატესობის გამოყენების შესაძლებლობას კიდევ უფრო ფართო მასშტაბით მოგვცემს.

ამ პროექტის მეშვეობით, სწორედ ტექნიკა-ტაქტიკის კუთხით გვექნება მთელი რიგი ცვლილებები შესატანი, ზემოთ აღნიშნული მხოლოდ მცირე მაგალითია, რომელსაც ბუნებრივია, მოყვება სხვა მთელი რიგი დეტალების განხილვა და მიდგომების დამუშავება.

ასეთივე შინაარსობრივი სიღრმისეული კუთხით არის აუცილებლად განსახილველი *ქვეჭიდი-ნევაზა*, რომელიც ფაქტობრივად, უგულებელყოფილია რეგიონალური შესწავლის დონეზე და ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ სანაკრებო მუშაობა უკვე აღარ არის საკმარისი ამ პრობლემის ამოსაქაჩად; ფეხის ტექნიკა - აში ვაზა მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკურად ქართველებს გვაქვს ამ მიმართულებით ერთგვარი „ტალანტი“ მას ძირითადად ვიყენებთ ერთფეროვნად „ცერულის“ სახით, ისიც, როგორც ერთ ცალკე აღებულ ილეთს მაშინ, როდესაც ფეხის ტექნიკაში არსებული მთელი რიგი არსენალი საუკეთესო საშუალება კომბინაციური ძიუდოს შესაქმნელად, რომელიც აუცილებლად უნდა გავამდიდროთ ქართული ძიუდოს სტილით. ზემოაღნიშნული მსჯელობა არის ის ხედვა და მიმართულება, რაც იქნება დამახასიათებელი სწორედ მრგვალი მაგიდის ფორმატში ჩართული კურატორებისა თუ მოწვეული სპეციალისტებისთვის.

2. თეორიულ-ისტორიული ჭრილი - ამ მიმართულების შემოტანას ენიჭება უაღესად დიდი მნიშვნელობა არა მარტო პროფესიონალი ძიუდოსტის შესაქმნელად, არამედ ღირსეული პიროვნების ჩამოყალიბებაში. აღნიშნულ საშუალებას ძიუდო იძლევა გამომდინარე იქიდან, რომ აქ არ გვაქვს საქმე მხოლოდ ტექნიკური არსენალის ერთიანობასთან, არამედ მკაცრად განსაზღვრულ დისციპლინირებულ განათლების

სისტემასთან, რომელსაც აქვს თავის მორალური კოდი რაც გამოიხატება შემდეგ 8 პრინციპში:

- მეგობრობა
- გულწრფელობა
- ღირსება
- თავმდაბლობა
- პატივისცემა
- თავაზიანობა
- საკუთარი თავის კონტროლი
- გამბედაობა

პროექტის განმავლობაში ბუნებრივია, სისტემატურად მოხდება ზემოთ ჩამოთვლილ პირციპებზე აქცენტირება, რაც პრაქტიკულად განხორციელებული იქნება სხვადასხვა ისტორიების, თუ მაგალითების ჩართვით სამწვრთნელო პროცესის მიმდინარეობისას. ძიუდოს მორალურ კოდში ჩადებული ეს პრინციპები იძლევა იმის საშუალებას, რომ ქართული ისტორიული რაკურსი, რომელიც რა თქმა უნდა, თავისთავად ამ მხრივ მდიდარია და წინა პლანზეა წამოსაწევი, ასევე გავამდიდროთ სხვადასხვა საერთაშორისო მაგალითებით და ამავდროულად მოვახდინოთ მთელი რიგი დადებითი ტენდენციების შემოტანა, რომელიც ახასიათებს იაპონიას და იაპონელ ხალხს, როგორც ძიუდოს სამშობლოს. მაგალითად, ფილმი „ძიუდოს გენია“ არის საუკეთესო საშუალება ძიუდოს ამ პრინციპებზე პირველადი შეხებისთვის, რომელიც არათუ არ აქვთ დღეს ნანახი ძიუდოსისტემის უმრავლესობას, არამედ არც იციან, რომ არსებობს ძიუდოზე ეს შესანიშნავი მხატვრული თანმიმდევრობით ახსნილი და გადმოცემული ძიუდოს ის რვავე პრინციპი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. აუცილებელი და შინაარსობრივად დეტალურად არის ახალგაზრდებისთვის ასახსნელი, რომ თავმდაბლობა და მოწინააღმდეგის პატივისცემა, რაც ვიზუალურადაც კი ხაზგასმულია თავად შეხვედრის თუ ვარჯიშის დაწყება-დამთავრების დროს თავის დაკვრის შესრულებით, არის აუცილებელი ნაწილი არა მხოლოდ სავარჯიშო თუ საშეჯიბრო პროცესის, არამედ ყოველდღიურ რეალობაში, ტატამს გარეთ. ამ და სხვა პრინციპებზე აქცენტის გაკეთება უნდა იქნეს დანერგილი სემინარების ძირითად კომპონენტად.

3. სპეციფიური ფიზიკური მომზადება - ამ მიმართულებით, ბუნებრივია, საკმაო გამოცდილება დაგვიგროვდა, თუმცა ამ ყველაფერს სჭირდება სწორი ანალიზი

და როგორც ტექნიკურ-ტაქტიკურ ნაწილთან მიმართებაში აღვნიშნეთ, აქაც ერთგვარი ერთიანი ხედვის და მიდგომის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც არსებობს ამ კუთხით, არის მწვრთნელების მხრიდან ადრეულ ახალგაზრდობის ასაკში 16 წლამდე ძიუდოსტებში ზედმეტი აქცენტის გაკეთება ფიზიკურ მომზადებაზე და ამის ხარჯზე წარმატების მიღწევა, რაც ხშირ შემთხვევაში, რბილად რომ ვთქვათ, არის უბრალოდ თავის მოტყუება, თუმცა უფრო კრიტიკულად, რომ შევხედოთ ხშირ შემთხვევაში სპორტული კარიერის ნაადრევი დამთავრების საფუძველი.

უფრო დეტალურად შესაძლებელია ჩამოვთვალოთ ის ნეგატიური შედეგი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამ კუთხით არასწორმა მიდგომამ. მაგალითისთვის შეგვიძლია ვისაუბროთ შტანგის მეშვეობით ნაადრევად ფიზიკური ძალის გაზრდაზე, რომელსაც ჭაბუკი ძიუდოსტების დონეზე აქვს სწრაფი ეფექტი, ჭაბუკი ძიუდოსტი ეჩვევა მის ხარჯზე წარმატების მიღწევას და აღარ ცდილობს ტექნიკური არსენალის გამდიდრებას, რაც უკვე მომავალში ძნელად მისაღწევი ხდება. მითუმეტეს ხელოვნურად გაზრდილი კუნთოვანი მასა სხვა ფსიქოლოგიურ მომენტებთან ერთად ხდება ერთგვარი ბარიერი.

თავისი შინაარსით ძიუდო ნიშნავს **მოქნილ, რბილ გზას**, რაც თავში გამორიცხავს აქცენტის გაკეთებას ძალისმიერ სტილზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პროფესიონალურ სპორტში ფიზიკურ ძალას, განსაკუთრებით გამძლეობის ნაწილში, არ უნდა მიექცეს ყურადღება. აქ ვგულისხმობთ, რომ ყველაფერს თავის განსაკუთრებული დრო და ადგილი უნდა დაეთმოს, შესაბამისად, მაშინ, როდესაც ათვისების უნარი და შესაძლებლობა მეტია. ნაადრევი ჭაბუკობის ასაკში ჩვენი მთელი ყურადღება უნდა იყოს მიმართული ტექნიკის სრულყოფისაკენ, ხოლო შემდგომ უკვე მოხდეს ნელ-ნელა ეტაპობრივად ფიზიკურ სიძლიერეზე კონცენტრაცია. აღნიშნული პრაქტიკა ეფექტურად იქნა ჩვენს მიერ გამოყენებული **„გამოწვევა 2020“-ის** პროგრამაში. შესაბამისად, მისი კიდევ უფრო დახვეწა უნდა გახდეს ამ პროგრამაში მონაწილე პირთა ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. აქვე უნდა შევხვოთ სპორტსმენებში წონის კლების არასწორ ტენდენციას, რაც ერთი მხრივ, დავარეგულირეთ სპეციალური დებულებით, თუმცა ამ ეტაპზე აუცილებელია ადგილზე მწვრთნელებისა და სპორტსმენებისთვის შინაარსობრივად ამ თემის სიღრმისეულად მიწოდება და კონტროლი, რაც საჭიროა არა მარტო სწორი სპორტული გათვლისთვის, არამედ პირველ რიგში ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, კურატორების და სხვა მოწვეული სპეციალისტების მხრიდან საჭირო იქნება მუშაობა სპეციფიური ფიზიკური მომზადებისთვის საჭირო მთელი რიგი სავარჯიშოების მოძიების, რომელიც მხოლოდ

განსჯისა და სათანადო არგუმენტაციის შემდეგ გახდება სავარჯიშო პროგრამის ნაწილი.

4. ფსიქოლოგია და სპორტული მედიცინა

ეს ორი მიმართულება თანამედროვე სპორტში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. თუ ჩვენი რეალობის მაგალითზე შევხედავთ სპორტულ მედიცინაში უკვე არსებობს სათანადო ისტორია და გამოცდილება, სპორტული ფსიქოლოგიის მიმართულებით ნაკლები გამოცდილება გვაქვს. ეს, ბუნებრივია, გამოწვეულია ზოგადად საზოგადოების მცდარი, სტიგმატიზირებული შეხედულებიდან, რომ ფსიქოლოგის საჭიროება სისუსტედ აღიქმება და სირცხვილად არის მიჩნეული. მით უმეტეს, ეს ტენდენცია სპორტსმენებში აქტუალურად ვლინდება, რადგან სპორტში ბუნებრივი მოთხოვნილება და ამბიცია „იყო ყველაზე ძლიერი“.

ბოლო პერიოდში სამინისტროს მხარდაჭერით სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის იყო სპორტსმენებთან ფსიქოლოგიური მუშაობის დანერგვის რამოდენიმე მცდელობა, რამაც ამ ეტაპზე ძიუდოში ფეხი ვერ მოიკიდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძიუდოს ფედერაციამ გარკვეულ წარმატებას მივაღწიეთ. სწორედ „გამოწვევა 2020-ის“ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოვიყენეთ ფსიქოლოგის რეკომენდაციები სხვადასხვა ძიუდოისტებთან და სამწვრთნელო პროცესებთან მიმართებაში. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისია და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯებია გადადგმული, რაც საჭიროებს მის დანერგვას კიდევ უფრო მეტი ინტესივობით უკვე ამ პროგრამის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფები

პროექტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი პირდაპირ მიმართულია კონკრეტული ასაკის ძიუდოისტების (13-14-15 წელი) განვითარების და სრულყოფისკენ, იგი ასევე ტოვებს ცოდნის ფართო მასშტაბით გავრცელების შესაძლებლობას. შესაბამისად, პროგრამაში მონაწილე კონტინგენტი შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. კურატორი მწვრთნელები. ძიუდოს დაახლოებით 17 მასწავლებელი, რომელიც იქნა შერჩეული პროექტის ჩასაშლელად რეგიონებში არსებული დარბაზების (დოჯო) დონეზე. როგორც შესავალ ნაწილში იქნა აღნიშნული, სწორედ მათთან ერთად ხდება

ყოველი გაკვეთილის შედგენა მათივე მონაწილეობით, რაც თავის მხრივ პირველ რიგში მათ კვალიფიკაციას ამაღლებს.

2. 13-დან 15 წლამდე ასაკის ძიუდოსტები.

აღნიშნული ასაკი არ არის შემთხვევით შერჩეული, არამედ იგი ემსახურება პროექტის ორი ძირითადი დანიშნულების უკეთ განხორციელებას:

ა) 2028 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება;

ბ) ქართული ძიუდოს სინთეზი ძიუდოს კლასიკურ გაგებასთან და ერთიანი სტილის შექმნა;

შერჩეული ასაკობრივი ჯგუფის ძიუდოსტები 7 წლის შემდგომ იქნებიან 20-21 წლის ზრდასრული სპორტსმენები და ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რომლის მაგალითებიც საკმარისად მივიღეთ „გამოწვევა 2020-ის“ პროგრამიდან, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქნებიან ანგარიშგასაწევი ძალა, როგორც შიდა კონკურენციის, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

რაც შეეხება მეორე მიზანს, რომელიც უფრო მასშტაბურია, რაც გულისხმობს ძიუდოს მომავალ სრულყოფას და განვითარებას ყველა დონეზე, მისი ეტაპობრივი მიღწევა უკვე პროექტის განხორციელების პირველსავე ნაბიჯებიდან იწყება. დროთა განმავლობაში ახალი მიდგომებით და მეთოდოლოგიით გაზრდილი ძიუდოსტები უკვე თავის მხრივ და თავისთავად შემდგომი თაობების საუკეთესო მასწავლებლები ხდებიან, რადგან სპარინგი და კარგი პარტნიორი ძიუდოსტად სრულყოფის გზაზე არის მთავარი გასაღები.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაკვეთილის ახსნის პროცესს ესწრება ყველა ბავშვი, განურჩევლად ჩვენს მიერ ზემოთხსენებული სპეციფიკური ასაკისა, რაც ბუნებრივია თავისთავად ზრდის ცოდნის პირდაპირი გავრცელების მასშტაბებს.

3. სხვადასხვა დარბაზებში, კლუბებში მოღვაწე პირადი მწვრთნელები.

საერთაშორისო ძიუდოსთან საქართველოს ინტეგრაციის შემდეგ, ძიუდოს აკადემიას მოგვეცა პირადი მწვრთნელების საერთაშორისო სტანდარტით გადამზადების საშუალება. 150-მდე მწვრთნელმა გაიარა აკადემიის ორსაფეხურიანი სასწავლო პროგრამა, რამაც მათი ცოდნის დონე საგრძნობლად აამაღლა, თუმცა აკადემიის კურსებზე მიღებული ცოდნის ყოვედლიური გამოყენება სამწვრთნელო პროცესის დროს ნაწილობრივ ხორციელდება. სწორედ ამ ახალ პროექტს, „მომავლის ძიუდოს“ თავისი შინაარსით და განხორციელების მეთოდიკით აქვს ამ პრობლემის აღმოფხვრის საუკეთესო შესაძლებლობა. ერთი მხრივ, კურატორები სისტემატურად აწვდიან

პირად მწვრთნელებს ახალ ინფორმაციას უშუალო შესრულების ჩვენებით, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული რჩევა მათთან თანმიმდევრულად გაწერილი გაკვეთილის ფორმატში, რაც დროთა განმავლობაში გაიდლაინის მსგავსს სახელმძღვანელოს ფუნქციასაც შეასრულებს.

**განსახორციელებელი აქტივობების (სწავლების) ფორმები დროსა და სივრცეში
სამოქმედო გეგმა**

#	აქტივობები	განხორციელების პერიოდი	სიხშირე	აქტივობაში ჩართული პირები	ფინანსური რესურსი
1	სასწავლო მასალის შექმნა	2021-2022	უწყვეტად	პროექტის ხელმძღვანელი	ძიუდოს ფედერაცია
2	კურატორი მწვრთნელის შერჩევა	2021	აპრილი - მაისი	პროექტის ხელმძღვანელი	ძიუდოს ფედერაცია
3	შეკრება „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში	2021-2022	თვეში 4 შეხვედრა	ა) პროექტის ხელმძღვანელი ბ) კურატორი-მწვრთნელები გ) მოწვეული ექსპერტები	ძიუდოს ფედერაცია, სამინისტრო
4	გასვლითი ვიზიტები რეგიონებში (საკურატოროებში)	2021-2022	თვეში 4 გასვლითი ვიზიტი	ა) კურატორი-მწვრთნელები ბ) ადგილობრივი პირადი მწვრთნელები გ) პროგრამის ხელმძღვანელი დ) ძიუდოსისტები 12-დან 15 წლამდე	ძიუდოს ფედერაცია, სამინისტრო

5	ერთობლივი შეკრებები	2021-2022	თვეში 1 შეკრება	მონაწილე სუბიექტები ა) პროგრამის ხელმძღვანელი ბ)კურატორი-მწვრთნელები მორიგეობით. გ) მოწვეული ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები დ) ფსიქოლოგი ე) გამოცდაზე და შეჯიბრებაზე შერჩეული მიუდღისტები	მიუდღოს ფედერაცია, სამინისტრო
6	შეკრებები ქვეყნის გარეთ	2022	წელიწადში 3 ან 4-ჯერ	ა) პროგრამის ხელმძღვანელი ბ)კურატორი-მწვრთნელები მორიგეობით. გ)სპეციალურად შერჩეული მიუდღისტები 14-16	სამინისტრო
7	გამოცდები		წელიწადში 3-4 ჯერ	საგამოცდო კომისია	მიუდღოს ფედერაცია სამინისტრო

პროექტის (ავტორი)
ხელმძღვანელი:
დავით ქევხიშვილი

ვამტკიცებ
საქართველოს მიუდღოს ეროვნული
ფედერაციის პრეზიდენტი
გიორგი ათაბეგაშვილი